პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 თებერვალი ოთხშაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 40 (14950)

ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის საამწყობო საამქროს ამწყობ ზეინკლებსა და ელექტროშემდუღებლებს ო. მამაცაშვილს, ს. გოგილაშვილს, დ. ჯეირანაშვილს, გ. კაზაროვს და ჯ. ბოგველს, რომლებიც საუბრობენ 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტის გარშემო.

ფოტო ზ. გოგოხიასი.

ჩვენს მკითხველებს!

ახლახან გამოქვეყნდა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად პარტიულ ორგანიზაციებში, მშრომელთა საერთო კრებებზე, პრესაში ამ დიდმნიშვნელოვანი წინასაყრილობო დოკუმენტის განხილვა უკვე დაიწყო.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია იწვევს მუშებს, კოლმეურნეებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ კომკავშირულ მუშაკებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, ყველა კომუნისტსა და უპარტიოს დირექტივების პროექტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

ველით თქვენს წერილებს, ძვირფასო ამხანაგებო!

პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის თაობაზე სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტმა, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიპყრო. უკვე პირველი გამოხმაურებანი დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ჩვენი პარტიის მიერ ახალი ხუთწლეულისათვის დასახული გრანდიოზული სამუშაოების გაშლილი, ხალხის ცხოვრების, ყველა მხარის მომცველი პროგრამა კმაყოფილებით მიიღეს და მხურვალედ მოიწონეს საბჭოების ქვეყნის მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ. ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტი ახარებს და აღფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს, მილიონობით ჩვენს მეგობარს საზღვარგარეთ, ცხადყოფს სოციალიზმის დიდ შესაძლებლობებს.

მიაჩვენა რა პარტიის ლენინურ ტრადიციას — ყოველთვის მოეთათბირის ხალხს, უფრო სრულად გაითვალისწინოს მისი აზრი, გამოიყენოს მისი ნათელი გონება და კოლექტიური გამოცდილება, — სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დირექტივების პროექტი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პროექტს განიხილავენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ღია კრებებზე, პარტიული აქტივის კრებებზე, პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე, მშრომელთა კრებებზე, პრესაში.

პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ ამ დიდი და პასუხსაგები პოლიტიკური კამპანიის მსვლელობაში გააცნონ თვითეულ ადამიანს ახალი ხუთწლეულისათვის დასახული ამოცანების არსი და მნიშვნელობა, გაითვალისწინონ მშრომელთა ყველა მნიშვნელოვანი წინადადება და შენიშვნა, უფრო ფართოდ განავითარონ ხალხის შემოქმედებითი ენერგია სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. დირექტივების პროექტის ფართოდ და საქმიანად განხილვამ ხელი უნდა შეუწყოს მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომ გაძლიერებას, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას. ამიტომ საჭიროა, რომ ყველგან განხორციელდეს ღონისძიებანი განხილვის მსვლელობაში გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციისათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმოების შინაგანი რეზერვების უკეთ გამოყენებას, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებას, მუშაობაში ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებას.

„...სოციალიზმი ცოცხალი, შემოქმედებითია, თვით ხალხის მასების ქმნილებაა“, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი. ჩვენი ხუთწლედები, რომლებიც ისტორიულ ნიშანსვეტებს წარმოადგენენ დიადი მიზნის გზაზე, — მთელი საბჭოთა ხალხის ღვიძლი საქმეა, მისი შრომისა და გონების, ინიციატივისა და დაუშრეტელი ენერგიის საქმეა. ახალი ხუთწლეულისათვის დასახული ამოცანების დიადი მამობილიზებელი და მაორგანიზებელი ძალა ის არის, რომ მათ, ისევე როგორც კომუნისტური პარტიის მთელ პოლიტიკას, მთელ პრაქტიკულ საქმიანობას, საფუძვლად უდევს ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის.

„ყველა ჩვენი გეგმის მთავარი მიზანი,— თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ამომრჩეველთა კრებაზე 1970 წლის ივნისში, — ის არის, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ხალხის ცხოვრება, ყოველმხრივ განვავითაროთ სოციალისტური საზოგადოება. სწორედ ამას ვემყარებით ჩვენ ახალი ხუთწლიანი გეგმის შემუშავების დროს“.

პარტიული ორგანიზაციების, ყველა პარტიული კომიტეტის უპირველესი მოვალეობაა უზრუნველყონ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის ფართოდ განმარტება. გასაგებად უნდა გავუშუქოთ ამ დოკუმენტის თეორიული სიღრმე და მეცნიერული დასაბუთებულობა, დოკუმენტისა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მიზნებს, ამოცანებსა და თავისებურებებს. ამასთან საჭიროა ვუჩვენოთ ახალ ხუთწლედში რესპუბლიკების, ოლქების, ქალაქების, რაიონების, საწარმოების, კოლმეურნეობების, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების კონკრეტული პერსპექტივები.

დირექტივების პროექტის პროპაგანდასთან დაკავშირებული მთელი მრავალმხრივი მუშაობა მოწოდებულია დიუმბარის თვითეულ მშრომელს უფრო სრულად დაინახოს და შეაფასოს გასული ხუთწლედის მთავარი შედეგები, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს წარმატებათს წინსვლას, უფრო ნათლად გაიგოს დაწყებული ხუთწლეულის შესანიშნავი პერსპექტივები, განსაზღვროს თავისი როლი და პასუხისმგებლობა დასახული საერთო-სახალხო ამოცანების განხორციელებაში.

საბჭოთა საზოგადოების წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუუმჯობესება საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია თვითეული ადამიანის შრომითს ღონისძიებებზე. „შრომა დოვლათის წყაროა, — ხაზგასმულია XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში, — და მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდა თვითეულ სამუშაო ადგილზე და მთელი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება გაამრავლებს ამ დიდარაჯს. რომელსაც მიიღებენ საბჭოთა ადამიანები საზოგადოებრივ წარმოებაში თვითეულის მიერ შეტანილი შრომითი წვლილის კვალობაზე“. საჭიროა დავამკვიდროთ ეს ჭეშმარიტება ყველა ჩვენ ადამიანს შეგნებაში, რათა თვითეული მუშაობდეს მთელი თავისი უნარის, ენერგიის, გამოცდილებისა და ცოდნის დაუზოგავად.

დირექტივების პროექტის განმარტებისათვის უნდა გამოვიყენოთ პარტიული პროპაგანდის, მასობრივი აგიტაციის ყველა საშუალება და ფორმა. ლექციები, მოხსენებები, აგიტატორთა და პოლიტიკურ ინფორმატორთა საუბრები უნდა ეწიოობოდეს არა მარტო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში, არამედ მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებშიც. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის უნდა მოვიზიდოთ პარტიული, საბჭოთა სამეურნეო მუშაკები. ბევრი რამ უნდა გააკეთონ პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საზოგადოება „ცოდნამ“.

პასუხსაგები ამოცანები აკისრია ამ პერიოდში ჩვენს პრესას, ტელევიზიასა და რადიოს, ისინი მოწოდებული არიან ყოველმხრივ გააშუქონ დირექტივების პროექტის განხილვის მსვლელობა, ახალ ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები და გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების გზები, მკაფიოდ უჩვენონ მიმდინარე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. საჭიროა, რომ გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, ტელევიზიითა და რადიოთი უფრო ფართოდ და უფრო მძლავრად გაისმოდეს წარმოების ნოვატორთა, სპეციალისტთა, მეცნიერთა, კულტურის მუშაკთა სიტყვა.

ჩვენი პარტია ყოველთვის გულახდილად ელაპარაკება ხალხს. ცხოვრების სიმართლით არის გამსჭვალული სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტიც. მასში ნაჩვენებია გასული ხუთწლედის შესრულებაში მოპოვებული ჩვენი რეალური დიდი წარმატებანი, ალნიშნულია არსებული ნაკლოვანებანი და სიძნელეები, დასახულია და დასაბუთებულია ახალი, არა მარტო მასშტაბის, არამედ თავისი ხასიათის მიხედვითაც, ამოცანები მომავლისათვის. რასაკვირველია, ამ დოკუმენტის განხილვისა და განმარტების მსვლელობაში, მიღწეულის, მოპოვებულის ჩვენებასთან, მორიგი ამოცანების განმტკიცებასთან ერთად, უნდა ვამხილოთ ნაკლოვანებათა მიზეზები, ვეძიებოთ მათი დაძლევის გზები.

ახალი ხუთწლეულის შთამაგონებელი მიზნები და ამოცანები ხალხის შემოქმედებითი ძალების მოზღვავებას იწვევს. ჩვენმა ქვეყანამ გულდაჯერებით დაიწყო 1971 წელი, წარმატებით სრულდება ამ წლის პირველი კვარტალის დავალებები. ეჭვი არ არის, რომ საყოველთაო სახალხო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა კიდევ უფრო გაძლიერდება. ამის საწინდარია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებული შეჯიბრების ფართო გაქანება.

„პრავდის“ 16/II — მოწვინავე.

XXIV წინსვლის მიჯნები

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად იწონებენ ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტს

ნათელი ჰორიზონტი

ისევ, როგორც ჩვენი ქარხნის ყველა მუშა-მოსამსახურემ, „მეც დიდი ინტერესით წავიკითხე სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი. პარტიას საყოველთაო განსახილველად გამოაქვს ახალი ხუთწლიანი გეგმის გრანდიოზული პროგრამა.

დირექტივებში შავი მეტალურგიის მრეწველობის მუშაკების მისამართით აღნიშნულია, რომ ძირეულ ამოცანად მიეჩნიოთ ლითონის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ლითონის წარმოების პროგრესული წესების დანერგვა და სახალხო მეურნეობაში ლითონის გამოყენების ეფექტიანობა.

ფოლადის გამოდნობა 1975 წლისათვის უნდა აჭიყვანოთ 142-150 მილიონ ტონამდე, ხოლო მწა ნაგლინისა — 101-105 მილიონ ტონამდე. ეს ციფრები უდიდესი ამოცანების წინაშე გვაყენებს ჩვენც — ქართველ მეტალურგებს.

ახლა ჩვენს ქარხანაში ახალი ძალით განაღდებულია სკკპ XXIV ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. იანვარში გეგმის გადამეტებით გამოგუშვით ასობრი ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი. ქართველი მეტალურგები ყველა ღონეს ვიხმართ, რომ წარმატებით შევასრულოთ მიმდინარე წლის გეგმა, და, ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების განხორციელების საქმეში.

მ. სპანდერაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ჩვენი წვლილი

გულდასმით გავეცანით სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. დიდი ამოცანებია დასახული საშენ მასალათა მრეწველობის წინაშეც. გათვალისწინებულია ხუთწლედში 1,4 ჯერ გადიდდეს პროდუქციის გამოშვება. სხვა მასალებთან ერთად მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს ბოსაპირკეთებელი ფილებისა და სანიტარული მოწყობილობის ასორტიმენტი.

ამ მხრივ დიდი მოვალეობა აკისრია თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივს. ხუთწლედში ბოსაპირკეთებელი ფილების წარმოება უნდა გავადიდოთ 300 ათასი კვადრატული მეტრით, ხოლო მხატვრული კერამიკის ნაწარმის გამოშვება 2-ჯერ.

ამ მიზნით უნდა განვახორციელოთ საწარმოს რეკონსტრუქცია. ხუთწლედის პირველ წელშივე დავსახეთ ღონისძიებები და თანმიმდევრულად ვიბრძვით მათი შესრულებისათვის. შედეგები ცუდი როდი გვაქვს. იანვრის დავალება დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ. მშენებლებს გეგმის გადამეტებით მივაწოდეთ 3.000 კვადრატული მეტრი ბოსაპირკეთებელი ფილები, სანტექნიკური მოწყობილობა, შრომის ნაყოფიერება აგამაღლეთ 1,3 პროცენტით.

კერამიკოსები ენერგიას არ დაზოგავენ, რათა ახალი შრომითი საჩუქრებით აღვნიშნოთ ყრილობის დღესასწაული.

ს. ჯიქია,
თბილისის კერამიკული კომბინატის მთავარი ინჟინერი.

აი რით ვუპასუხებთ

გავეცანით სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს ახალი ხუთწლედის გეგმის შესახებ. მათში კოლმეურნეებს ხედავენ სწრაფი წინსვლის მტკიცე ბერკეტს. ჩვენი კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა ჩხოროწყუს რაიონში. მთავარი დარგები მეჩაიეობა და მარცვლეული კულტურებია. კოლმეურნეობა ყოველ წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმებს გადაჭარბებით ანაღდებს.

ავწონ-დაწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი, რეზერვები და გადაწყვიტეთ მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ სულ ცოტა 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მკვეთრად გავადიდოთ მარცვლეულის მოსავლიანობა. საშუალოდ ჰექტარზე 35 ცენტნერ სიმინდს მივიღებთ ნაცვლად 20 ცენტნერისა, ხუთწლედის ბოლოსათვის კი — 50 ცენტნერს. თვითეულ ძროხაზე მივიღებთ 2.500 კილოგრამ რძეს, ხუთწლედის ბოლოსათვის — 3,000 კილოგრამს.

საკოლმეურნეო წარმოების რეზერვების სრულყოფილად გამოყენებით ხუთწლიანი გეგმის დავალებებს ყველა დარგში შევასრულებთ ოთხ წელიწადში, მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს მოვუმზადებთ ჯანსაღ ტექნიკას, სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმას შევასრულებთ ვადაზე 20 დღით ადრე, ახლი წარმატებებით შევხვდებით პარტიის XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს.

ჯ. ყალიჩავა,
ჩხოროწყუს რაიონის დაბა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მექანიზატორები იწონებენ

ტყიბული. მექანიზატორები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების პროექტს — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ხუთწლიანი გეგმა, — განაცხადა სტალინის სახელობის შახტის ნოვატორმა მექანიზატორ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ჯულაყიძემ, — დიდ ამოცანებს სახავს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წინაშე. მეცხრე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქვანახშირის მრეწველობის ახალ სიმძლავრეთა ამუშავებას, სათბობის ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების შემცირებას.

მომდინარე წელი, ახალი ხუთწლედის პირველი სამეურნეო წელი შახტმა კარგად დაიწყო. ჩემმა ბრიგადამ იანვარში ქვანახშირის მოპოვების ნორმა გადაჭარბებით შეასრულა. ფაბრიკა-ქარხნებს გავუგზავნეთ 200 ტონამდე ზედგამითი სათბობი.

ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ახალ სიმძლავრეთა ამუშავებას, ახალი ტექნიკის დანერგვას. შემდგომში მოგვიხდება ამ ნაკლის გამოსწორება. ამჟამად შახტის ძალებით ვამზადებთ ახალ ღრმა სამთო ჰორიზონტს, რომლის საექსპლოატაციოდ გადაეცემა გაზრდის სათბობის მოპოვებას. ახლო მომავალში დავიწყებთ აგრეთვე საკომბაინო ახალი ლავის მომზადებას. ვფიქრობთ, სამთო კომბაინი შევაგუოთ ტყიბულის საბადოს რთულ პირობებს და მექანიზებული გავხადოთ ქვანახშირის მონგრევის შრომატევადი პროცესი.

ნ. ჯულაყიძემ მექანიზატორებს მოუწოდა გააძლიერონ ბრძოლა ქვანახშირის მრეწველობაში სიახლეთა დანერგვისათვის, მომჭირნეობისა და ეკონომიისათვის და ვალდებულება იკისრა პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავად ქვანახშირის მონგრევის ყოველდღიური ნორმები სულ მცირე 140 პროცენტით შეასრულოს.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს სსრ მრეწველობა 1971 წლის იანვარში

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა.

1971 წლის იანვარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამრეწველო წარმოების მოცულობა 4 პროცენტით გაზარდა, ხოლო საშუალო სადღეღამისო წარმოება (1971 წლის იანვარში იყო ერთი სამუშაო დღით ნაკლები, ვიდრე გასული წლის იანვარში) — 8,5 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება 1971 წლის იანვარში 8 პროცენტით გაიზარდა.

მონაცემები ცალკეული სამინისტროების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ:

	1971 წლის იანვარი პროდუქციის რეალიზაციის 1971 წლის იანვრის გეგმის შესრულების პროცენტი	1971 წლის იანვარი პროცენტობით 1970 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით: წარმოების მოცულობის დარგში	შრომის ნაყოფიერების დარგში
ხე-ტყისა და ხისდამუშაგებელი მრეწველობის სამინისტრო	100,6	102	106
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	79	103	99,1
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	99,6	99,3	100,6
კვების მრეწველობის სამინისტრო	106	108	108
ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი	96	116	103
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	110	116	106
დამზადების სამინისტრო	105	104	115
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	101	102	103

ცალკეულ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ ნატურალური გამოხატულებით მთლიანად რესპუბლიკაში შეადგინა:

	წარმოებულია 1971 წლის იანვარში	1971 წლის იანვარი პროცენტობით 1970 წლის იანვრიდან შედარებით
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიონი კილოვატ-საათი	862	107
ქოქსი მილიანად — ათასი ტონა	60,5	108
მინერალური სასუქები — (პირობით ერთეულებში) — ათასი ტონა	50.0	108
კაპროლაქტამი — ათასი ტონა	2,2	150
სინთეზური ბოჭკო — ათასი ტონა	0,8	123
ქვანახშირი — ათასი ტონა	192	98
თუჯი — ათასი ტონა	67,3	101
ფოლადი — ათასი ტონა	120	98
ნაგლინი სულ — ათასი ტონა	99,5	98
ფოლადის მილები — მილიონი მეტრი	2,1	99,3
სატვირთო ავტომობილები — ცალი	1240	105
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	299	113
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	7	88
ცემენტი — ათასი ტონა	126,6	105
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	5,5	99,6
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი	66,2	107
ქაღალდი — ათასი ტონა	3,0	93
ავეჯი — მილიონი მანეთისა	3,0	106
პიანინო — ცალი	280	84
ბამბის ქსოვილები — ათასი კვადრატული მეტრი	3695	86
შალის ქსოვილები — ათასი კვადრატული მეტრი	625	107
აბრეშუმის ქსოვილები — ათასი კვადრატული მეტრი	3028	115
წინდები — ათასი წყვილი	1338	92
ტრიკოტაჟის საცვალი — ათასი ცალი	1616	103
ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი	803	117
ტყავის ფეხსაცმელი — ათასი წყვილი	1053	88
ხორცი* — ათასი ტონა	4,2	116
ყვავილი* — ათასი ტონა	0,8	123
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	10,6	139
მარგარინი — ათასი ტონა	2,1	172
კარაქი* — ტონა	36	90
მცენარეული ზეთი — ტონა	906	72
მოუსდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — ტონა	7400	104
ნატურალური, ხარისხოვანი, დაფასოებული ჩაი — ტონა	1623	122
ყურძნის ღვინო* — ათასი დეკალიტრი	1027	111
პაპიროსი და სიგარეტი — მილიონი ცალი	1291	109

1970 წლის იანვართან შედარებით წარმოებულია მეტი: ელექტროენერგია — 53 მილიონი კილოვატ-საათი, თუჯი — 4 ათასი ტონა, მინერალური სასუქები — 3,7 ათასი ტონა, კაპროლაქტამი — 741 ტონა, ლითონსაჭრელი ჩარხი — 34 ცალი, სატვირთო ავტომობილი — 64 ცალი, კოშკურა ამწე — 6 ცალი, ცემენტი — 5.6 ათასი ტონა.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება 1970 წლის იანვართან შედარებით გადიდდა: აბრეშუმის და შალის ქსოვილებისა — 431 ათასი კვადრატული მეტრით, ტრიკოტაჟის საცვლისა და ზედა ტრიკოტაჟისა — 160 ათასი ცალით, ავეჯისა — 133 ათასი მანეთით, ხორცისა — 502 ტონით, კონსერვებისა — 3 მილიონი პირობითი ქილით.

1971 წლის იანვარში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ვერ შესრულეს: მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ (99.6 პროცენტი), სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა (84 პროცენტი). მშენებლობის სამინისტრომ (87 პროცენტი), სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ (72 პროცენტი), შინაგან საქმეთა სამინისტრომ (96 პროცენტი), ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა (89 პროცენტი) და ზოგიერთმა სხვა არასამრეწველო სამინისტრომ და უწყებამ.

* კოლმეურნეობის წარმოებისა და მოსახლეობის შინწარმოების გარდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

მოგილოცავთ, მეგობრებო!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის **დაჯილდოვდეს:**

შრომის წითელი დროშის ორდენით

აბაშის ასსრ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლის კოლმეურნეობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.

ჯილდო მამაცური შრომისათვის

საქქვანახშირის კომბინატის კოლექტივმა ზედიზედ მერვედ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1970 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით **პირველი ადგილი მოიპოვა საქქვანახშირის კომბინატის კოლექტივმა.** ეს კი ორი წელია რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს უკავიათ პირველობა ქვეყნის მაღაროელთა შეჯიბრებაში, კომბინატის კოლექტივს ზედიზედ მერვედ ენიჭება სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

გასული წლის მეოთხე კვარტალში მოპოვებული მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატებებისათვის მეორე ფულადი პრემია მიენიჭა ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივს. რესპუბლიკაში ყველაზე მძლავრმა შახტმა საიუბილეო წელს სახალხო მეურნეობას მიაწოდა 40 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი, მესამე ადგილი მიენიჭა ტყვარჩელის № 2 და № 6 შახტების კოლექტივებს.

ყველა ეს წარმატება მოპოვებულია იმის მეოხებით, რომ თავდადებულად გაისარჯნენ მაღაროელები. — ტყიბულის ტალინის სახელობის შახტის საწმენდი სანგრევის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ჯულაყიძე, ლენინის სახელობის შახტის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი შ. კუბლაშვილი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ლანჩავა, ახალციხის ქვანახშირის შახტსამმართველოს საწმენდი სანგრევის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ჯვარიძე და მრავალი სხვა მაღაროელი.

დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის დანერგვის შედეგად მკვეთრად გაუმჯობესდა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებელი. ახალ პირობებში წლიანახევრის მუშაობის მანძილზე მიღებულია 2 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება, მუშაკთა საშუალო ხელფასი 15 პროცენტით გაიზარდა. (საქინფორმი).

განვითარებული დირექტივების პროექტს

ყინესვლის ამჯნობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპუბლიკაში ცნობილია თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის შრომითი დიდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე იგი მრავალჯერ ფლობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას, აგრეთვე სხვა საპატიო ჯილდოებს.

მესამე დღეა თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის საამქროებში უჩვეულო გამოცოცხლება და მზარდი შრომითი აღმავლობა სუფევს. 60 ბგიტატორი და პოლიტინფორმატორი ცნობილია ბრიგადა ... ...

ორი სამყარო—ორი შედეგი

ახლოწარსულ საზოგადოებრიობა უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.

საზღვარგარეთის პრესა იხილავს და განმარტავს ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს და აღნიშნავს, რომ 1966-1970 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე წინა ხუთწლეულში. სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 1,5-ჯერ. ეროვნულმა შემოსავალმა 1970 წელს 41 პროცენტით გადააჭარბა 1965 წლის დონეს. საზღვარგარეთის მიმომხილველები და ეკონომისტები განსაკუთრებით აღნიშნავენ ის ფაქტს, რომ საბჭოთა ეკონომიკა ვითარდება ჰარმონიულად, ერთიანი გეგმით, მისთვის უცხოა კრიზისები და დაქვეითება.

მეცხრე საბჭოთა ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზრდება საბჭოეთის ეკონომიური ძლიერება, იგი უზრუნველყოფს სოციალისტური წარმოების სწრაფი ტემპის საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. დირექტივების პროექტის შესაბამისად ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ხუთწლეულში უმთავრესად შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით გაიზრდება 37-40 პროცენტით, ხოლო რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გადიდდება დაახლოებით 30 პროცენტით. დამახასიათებელი, დამაჯერებელი ციფრებია!

საბჭოთა ეკონომიკის უდიდესი მიღწევები და შესანიშნავი პერსპექტივები განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს იმ ღრმა მოდუნებისა და დაქვეითების ფონზე, რაც ახასიათებს კაპიტალისტური სახელმწიფოების და, უწინარეს ყოვლისა, კაპიტალისტური სამყაროს წამყვანი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას. თანამედროვე ამერიკაში, როგორც ფოკუსში, თავი მოუყრია ყველა იმ განუკურნებელ სენს, რომლებიც ორგანულად დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის როგორც სისტემისათვის.

ამჟამად მილიონობით ამერიკელს, რომლებიც პესიმიზმსა და მომავლისათვის დიდ შეშფოთებას შეუპყრია, სულ უფრო ხშირად გაპყავს პარალელი 70-იან და 30-იან წლებს შორის — „დიდი კრიზისის პერიოდს შორის, რომელმაც შეაზანზარა ქვეყანა და გახდა უამრავი ადამიანის ტრაგედიის მიზეზი. ასეთი შედარებისათვის საფუძველი საკმარისზე მეტია. ქვეყანაში მძვინვარებს ინფლაცია — მთავრობის გიგანტური სამხედრო ხარჯების გარდაუვალი შედეგი. უმუშევართა რიცხვმა 5 მილიონს — რეკორდულ ციფრს მიაღწია ამ ბოლო 10 წლის მანძილზე. მარტო ერთ წელიწადში ფასებმა თითქმის 6 პროცენტით მოიმატა. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენენ ადამიანები, რომლებიც ამერიკის ბურჟუაზიული პრესის მონაცემებითაც კი, აღმოჩნდნენ „სიღატაკის პირას“... სოციალური კონფლიქტების გამწვავებას თვალნათლივ მოწმობს კლასობრივი ბრძოლების უმაგალითო გაჭანება. მარტო 1970 წლის პირველი ცხრა თვის მანძილზე შეერთებულ შტატებში აღინიშნა 5.000-ზე მეტი გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობდა 2,5 მილიონი კაცი!

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებიც აღმოჩნდნენ ახალი კრიზისის აჩრდილის პირისპირ, შეშფოთებული არიან საგაფიცო მოძრაობის ზრდის გამო და არ იშურებენ დაპირებებს, რომ უზრუნველყოფენ ქვეყნის „აყვავებას“. ასეთ დაპირებებს უხვად შეიცავენ, კერძოდ, პრეზიდენტის უკანასკნელი წერილები, რომლებიც ეძღვნება ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას, ბიუჯეტს, სოციალურ პრობლემებს. მაგრამ მწრომელი „ერთსართულიანი“ ამერიკა — ის ამერიკა, რომელიც საკუთარ თავზე გრძნობს ეკონომიური დაქვეითების, მასობრივი უმუშევრობისა და სიღატაკის სამინელ შედეგებს — გადაჭრით უარს ამბობს გაიზიაროს ამ წერილების ოფიციალური ოპტიმიზმი. „ამერიკელები განწყობილი არიან პესიმისტურად, უმრავლესობა წინასწარმეტყველებს, რომ გაიზრდება უმუშევრობა, გაფიცვები და ეკონომიური სირთულეები“, — აცხადებს ამერიკის „გეოლაპის ინსტიტუტი“, რომელიც სწავლობს ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ აზრს.

ამრიგად, ერთ მხარეზეა ეკონომიკის მძაფრი დინამიკური განვითარება, ხალხის ცხოვრების გაუნუხრელი გაუმჯობესება, ფართო და ნათელი პერსპექტივები, მეორეზე — დაქვეითება, მოდუნება, უმიდობა, გულგატეხილობა. თვით ცხოვრება კვლავ და კვლავ მოწმობს, რომ კაპიტალიზმს, რომელსაც თავგზა აბნევია „გადაუჭრელ წინააღმდეგობებში, არ ძალუძს მისცეს ხალხებს რაიმე, მწუხარებისა და სიღატაკის გარდა. თვით ცხოვრება ადასტურებს სოციალიზმის დიად უპირატესობებს!

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲣᲛᲔᲜᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ თვითმფრინავმა რაკეტების ცეცხლი დაუშინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის რაიონს, რომელიც 38 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ დონგჰოის დასავლეთით. ამავე რაიონს რაკეტების ცეცხლი დაუშინეს კვირასაც.

ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ სერიოზულად შეაშფოთა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების შეკავშირებულმა მოქმედებამ, რომლებმაც აიძულეს საერთაშორისო კომპანიები თეირანში ხელი მოეწერათ შეთანხმებაზე ნავთობის გადასახადელთა გადიდების შესახებ. „ძალთა წონასწორობა შეიცვალა, — წერს გაზეთი „ტაიმსი“, — ნავთობის მომხმარებელი ქვეყნები ახლა იძულებული არიან დაეთანხმონ ექსპორტიორი ქვეყნების პირობებს“.

ᲛᲮᲔᲪᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲔᲜ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ხელისუფალნი განაგრძობენ მხეცობასა და ტერორს მათ მიერ დაპყრობილ არაბულ მიწებზე. ისრაელის ხელისუფლებამ გაზის ოკუპირებულ სექტორში მდებარე ერთ-ერთი საავდმყოფო გადაქცეის საპყრობილედ, სადაც ახლა 5 ათასი პატიმარი არაბი-პალესტინელი იტანჯება.

ᲥᲝᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის ლიდერმა ბპუპშ გუპტამ მოუწოდა ინდოელ ამომრჩევლებს დაამარცხონ რეაქციის გაერთიანებული ძალები ამ ქვეყნის პარლამენტის მომავალ ვადამდელ არჩევნებში. მან აღნიშნა, თუ რა დიდ საფრთხეს უქმნის ინდოელი ხალხის პროგრესულ მონაპოვრებს „ჯან სანგჰის“, „სვატანტრისა“ და „კონგრესის ორგანიზაციის“ ტიპის რეაქციული პარტიების ბლოკი.

ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ათი წლის მანძილზე არნახული წყალდიდობა მოხდა ბოლივიის ალტიპლანოს ზეგანზე და ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში. კოკისპირული წვიმების შედეგად ადიდებულმა მდინარეებმა დიდ ფართობებზე დატბორეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მოსპეს ნათესები, დაანგრიეს ხახლები, გადარეცხეს გზები. ასობით ოჯახი უსახლკაროდ დარჩა, არის მსხვერპლი.

საკდესი-რეიტერი-ასოშიეიტედ პრესი.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ

ᲐᲠᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

16 თებერვალი. (საკდესი). გუშინ საღამოს პოლონეთის ტელევიზიით გამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. იაროშევიჩი.

მან განაცხადა, რომ გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მთავრობის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პოლონეთის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

მან აღნიშნა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილეს ქვეყნის აქტუალური ეკონომიური ვითარება და მიიღეს გადაწყვეტილება დააწესონ კვების პროდუქტების ფასები დონეზე, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში იყო გასული წლის 13 დეკემბრამდე.

აღნიშნული დადგენილება ძალაში შედის ამა წლის 1 მარტიდან. ამავე დროს ძალაში რჩება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მცირეხელფასიან კატეგორიათა მუშაკების ხელფასის მომატების შესახებ.

პოლიტბიურო და მთავრობა, ხაზი გაუსვა პ. იაროშევიჩმა, თანამემდგურულად ადგანან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII და VIII პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების გზას.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲨᲘ ახალი ძალით იფეთქა შეტაკებებმა განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულ ძალებსა და ამერიკა-საიგონის ჯარებს შორის. ოკეანესგადაღმული აგრესორები და მათი საიგონელი მარionეტები მძიმე ზარალს განიცდიან, სულ უფრო მეტ ჯარისკაცებსა და საბრძოლო ტექნიკას კარგავენ. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ:** განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფის მეთაურები აზუსტებენ ცეცხლის მიმართულებას ამერიკელთა პოზიციებზე ქალაქ ხიუეს დასავლეთით.

ფოტო ვია-საკდესისა.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ᲙᲐᲘᲠᲝ — Ა. ᲡᲐᲓᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

16 თებერვალი. (საკდესი). თუ ისრაელი გაიყვანს თავის ჯარებს სინას ნახევარკუნძულზე მდებარე ქალაქის ეილ-არიშის ფარგლებს გარეთ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა გარანტიას იძლევა, რომ განაახლებს 6 თვის მანძილზე ნაოსნობას სუეცის არხში და ვადას გაუგრძელებს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ წარმომადგენელს ახლო აღმოსავლეთში გუნარ იარინგს საშუალებას მისცემს შეიმუშაოს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანი გადაწყვეტის დეტალები, განაცხადა, როგორც მენის საგაზეთო იუწყება, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა ამერიკული ეიბენალის „ნიუსუიკის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში.

პრეზიდენტმა სადათმა აღნიშნა, რომ თუ ისრაელი ნაწილობრივ გაიყვანს თავის ჯარებს სინას ნახევარკუნძულიდან, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა იძლევა აგრეთვე ტირანის ყურეში საერთაშორისო ნაოსნობის თავისუფლების გარანტიას და წინაღმდეგი არ იქნება, რომ შარმ აშ-შეიხში განალაგონ მეთვალყურეთა საერთაშორისო ძალები.

ანვარ სადათმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოსაწესრიგებლად საჭიროა ისრაელმა გაიყვანოს თავისი ჯარები მთელი არაბული ტერიტორიებიდან, და არა მარტო სინას ნახევარკუნძულიდან.

ისრაელის მოთხოვნა უსაშიშრო საზღვრების შესახებ, განაცხადა ეგვიპტის პრეზიდენტმა, სხვა არა არის რა, თუ არა ფანდი, რომლის მიზანია ტერიტორიული ექსპანსია.

ᲙᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ — ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ

16 თებერვალი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინში მოეწყო დემონსტრაციული ხასიათის მორიგი პოლიტიკური აქცია, რომელმაც უნდა განამტკიცოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეტენზიები ამ ქალაქზე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის განსაკუთრებული სტატუსით.

ამასთან განსაკუთრებით აქტიურობს დასავლეთ გერმანიის პარტია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი. მისმა ლიდერმა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირ - ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარემ ბუნდესტაგში ბარცელმა გუშინ დასავლეთბერლინელი ქრისტიანი დემოკრატების მიტინგზე აშკარად პროვოკაციული სიტყვა წარმოთქვა.

აქ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ დასავლეთ ბერლინში ამჟამად იმყოფებიან დასავლეთ გერმანიის მთავრობის ექვსი მინისტრი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორი მხარის — ჰეზენისა და ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის პრემიერ-მინისტრები.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ — ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

16 თებერვალი. (საკდესი). ჯონსონის მთავრობიდან დაწყებული დღემდე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში მთავარი ყურადღება ეთმობა ვიეტნამის კონფლიქტის სამხედრო გადაწყვეტას, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

პოლიტიკური პერსპექტივების რეალური ანალიზი, გაზეთის აზრით, უნდა დაიწყოს იმ ფაქტის აღიარებით, რომ შეერთებულმა შტატებმა სავსებით შეწყვეტოს საომარი მოქმედება ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე.

გაზეთი გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკას — თხეიუ-კის რეჟიმის მხარდაჭერის პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ ასეთი პოლიტიკა „ძირს უთხრის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სტაბილური მდგომარეობის დამყარების იმედებს“.

გაზეთის აზრით, სამხედრო ძალით ვერ აიძულებ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში ამერიკის პირობებით. „ეს ფანტაზიაა და არა პოლიტიკა“, — წერს გაზეთი.

შეერთებული შტატები უნდა შეურიგდეს რეალობას. გაზეთის აზრით, ამ გზაზე პირველი ნაბიჯი იქნებოდა ამერიკის ჯარების მთლიანად გამოყვანა ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიიდან მტკიცედ დადგენილ ვადებში და ინდოჩინეთის ხალხებისათვის იმ შესაძლებლობის მინიჭება, რომ თვითონ განაგებდნენ საკუთარ ბედს.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ — ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ

16. თებერვალი. (საკდესი). ვაშინგტონში მწიფდება მორიგი სკანდალი, რომელშიც გარეულია ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ვაჭრობის მინისტრი მორის სტენსი.

ვაჭრობის მინისტრის სტენსის სახელს უკავშირებენ იმ სასწრაფო ღონისძიებებს, რომლებსაც შარშან ზაფხულში მიმართეს მთავრობის წევრებმა გაკოტრებული რკინიგზის კომპანიის „პენსილვანია სენტრალის“ გადასარჩენად.

როგორც ახლა გამოირკვა ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს ცნობებიდან, მორის სტენსი უშუალოდ იყო „დაინტერესებული“ ამ კომპანიის გადარჩენით; მინისტრი ფლობდა მისი ერთ-ერთი შვილეული კომპანიის 300.000 დოლარის აქციებს. მორის სტენსმა კაბინეტის სხვა წევრებთან ერთად შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მთავრობის 125 მილიონი დოლარი გარანტირებული სესხის მიცემას ამ რკინიგზის კომპანიისათვის.

როცა ეს ამბავი პრესის ფურცლებზე მოხვდა, სენატორმა ვენს ჰარტკემ მოითხოვა, რომ სენატის ვაჭრობის საქმეთა კომისიას უახლოეს ხანში მოესმინა „ვაჭრობის მინისტრის ახსნა-განმარტება“.

მუშრომველთა ხელისუფლება

ᲓᲘᲓᲘ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ამერიკა-კავკასიის ქვეყნები მოწყვიტეს საბჭოთა რუსეთს. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების სათარეშო გახდა.

მენშევიკური საქართველო ის ადგილი იყო, სადაც თავს იყრიდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი კონტრრევოლუციური ძალები. ისინი მჭიდროდ დაკავშირებული იყვნენ საერთაშორისო იმპერიალიზმთან. ეს გარემოება ერთგვარად აყოვნებდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას საქართველოში. უდავოდ ეს არის მიზეზი ჩვენთან მენშევიკების შედარებით მეტ ხანს ბატონობისა. მაგრამ საერთოდ საქართველოში აღმავალი რევოლუციური მოძრაობის შეკავება შეუძლებელი იყო.

1921 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში რევოლუციური მოძრაობა სკალის მაქსიმალურ ნიშანს მიუახლოვდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკვე პრაქტიკულად დაისახა პროლეტარული რევოლუციის ძირითადი ამოცანის გადაწყვეტის — ხელისუფლების მოპოვების საკითხი.

11 თებერვალს ღამით ქვემო ქართლში, ბორჩალოს მაზრის სოფელ ლორის გლეხობამ დაიწყო ძლიერი აჯანყება. იგი სწრაფად მოედო არა მარტო მაზრას, არამედ მთელ საქართველოს. აჯანყებულებს უერთდებოდნენ მენშევიკების ჯარისკაცთა ცალკეული ნაწილებიც. ეს იყო საქართველოში მენშევიკური დიქტატურის დასასრულის დასაწყისი.

50 წლის წინათ, 1921 წლის 16 თებერვალს ქ. შულავერში (შაუმიანში) შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი). იგი შექმნა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ. მის შემადგენლობაში შევიდნენ ფ. ე. მახარაძე (თავმჯდომარე), მ. დ. ორახელაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), შ. ზ. ელიავა, ბ. მ. კვირკველია, გ. ი. ელისაბედაშვილი, ა. მ. ნაზარეტიანი და ა. ა. გეგეჭკორი.

შექმნის დღესვე რევკომმა გამოაქვეყნა მოწოდება საქართველოს მშრომელი ხალხისადმი, რომლითაც საქართველო გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. საქართველოს რევკომი მოქმედებდა უკვე როგორც საქართველოს მშრომელთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, იგი მოუწოდებდა საქართველოს ყველა რაიონისა და ქალაქის მშრომელებს დაემხოთ მენშევიკების ბატონობა, ხელთ აიღოთ ძალაუფლება და შეექმნათ ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები. რევკომი თავისი პირველივე მოწოდებით აფხაზეთის, ოსეთისა და სხვა მოძმე ხალხებს ანიჭებდა თვითგამორკვევის უფლებას, იგი მოუწოდებდა ბატარა ერებს აეღოთ იარაღი თავიანთი უფლებების მოსაპოვებლად.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეს, კომუნისტური პარტიისა და ხალხის ბელადს — ვ. ი. ლენინს. მიმართვაში მითითებულია, რომ მენშევიკური მთავრობის დასახმარებლად ისწრაფვიან ევროპის რეაქციის ძალები, ამიტომ „ჩვენ ვიმედოვნებთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციისა, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობის ქვეყანა არ დაგვტოვებს ჩვენ უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახალშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას“.

ვ. ი. ლენინს ეს დახმარება არ დაუყოვნებია. 1921 წლის 25 თებერვალს აჯანყებული ქართველი მშრომელნი XI არმიის ნაწილებთან ერთად საქართველოს დედაქალაქ თბილისში შედიან. ამ დღისვე იქმნება თბილისის რევოლუციური კომიტეტი ამხანაგების: ს. ი. თოდრიას (თავმჯდომარე), ლ. ლ. ღოღობერიძის და ბ. ე. ბიბინეიშვილის შემადგენლობით.

25 თებერვალი საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღეა, — ამ დღიდან იქმნება პროლეტარიატის დიქტატურა, ამ დღიდან იწყება ახალი ერა ქართველი ერის ისტორიაში; სოციალიზმის მშენებლობის ერა. 18 მარტისათვის დამთავრდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მთელ რესპუბლიკაში, სადაც განთავისუფლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში შეიქმნა ახალი ტიპის სახელმწიფოს ორგანოები რევკომების სახით.

მთელ საქართველოში ჩამოყალიბდა რევკომების ერთიანი სისტემა (საქართველოს რევკომი, სამაზრო რევკომები, ქალაქისა და სათემო რევკომები). ისინი მოქმედებენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. არსებობდა აგრეთვე საქართველოს რევკომის პლენუმი, რევკომის პრეზიდიუმი და რევკომის მცირე პრეზიდიუმი. 1921 წლის ნოემბერში მოწვეულ იქნა აგრეთვე სრულიად საქართველოს მაზრებისა და ქალაქების რევკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების პირველი ყრილობა.

რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც „ხალხის მასების აჯანყების ცეცხლსა და კვამლში იშვა“, საქართველოში წარმოადგენდნენ ძალაუფლებისათვის ბრძოლის ძლიერ იარაღს, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ — კი — პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანათა განმახორციელებელ ხელისუფლების ორგანოებს. ბუნებრივია, საბჭოების არარსებობის გამო მაშინ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის ერთგვარი თავისებური სახესხვაობა (რევკომების სისტემა) დროებით ხასიათს ატარებდა, იგი შემოიფარგლა ერთი წლით.

ვ. ი. ლენინი 1921 წლის 10 მარტს დეპეშაში XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოსადმი, რომლის ასლიც გაეგზავნა აგრეთვე კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, საქართველოს რევკომს და ამხ. ს. ორჯონიკიძეს, აღნიშნავდა: „...წინადადება გეძლევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევკომთან და ზუსტად შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტივებს, საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად არ მიიღოთ არავითარი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ შელახონ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებული პატივისცემით მოეკიდოთ საქართველოს ხუთერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინოთ ქართველი მოსახლეობის მიმართ“.

ახალი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს რევკომის № 27 დეკრეტმა „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სარევოლუციო კომიტეტის ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ“. იგი მიღებულ იქნა 1921 წლის 21 აპრილს. მასში მოცემული იყო კონსტიტუციური მნიშვნელობის ნორმები. დეკრეტით განისაზღვრა, რომ საქართველოს რევკომი არის უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და კონტროლის ორგანო. იგი თავის უფლებებს ახორციელებდა დეკრეტებით, დადგენილებებით, ბრძანებებით, ინსტრუქციებით და სხვა ღონისძიებანი აქტებით. ასეთი ღონისძიებანი საქართველოს რევკომმა გაატარა ძველი სახელმწიფო აპარატის დამსხვრევისა და ახლის შექმნის საქმეში, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, ეროვნული საკითხის მოსაგვარებლად და ა. შ. რევკომს მისი არსებობის ერთი წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს 100 დეკრეტი, 160 დადგენილება და უამრავი ბრძანებები და სხვა აქტები.

1921 წლის დეკემბერსა და 1922 წლის იანვარში ჩატარდა საქართველოში საბჭოების არჩევნები. იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც ირჩევდნენ საბჭოს, ადგილობრივი რევკომი მას ანგარიშს აბარებდა და თვითონ ავტომატურად უქმდებოდა. ცხადია, ამით მზადდებოდა პირობები რესპუბლიკის საბჭოების ყრილობის მოსაწვევად.

საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 21 აპრილს ზემოდასახელებული დეკრეტის მეორე მუხლში ჩაწერილი იყო, რომ „რევოლუციური კომიტეტი იწვევს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას, რომელსაც უდგენს თვის მოღვაწეობის ანგარიშს“. ასეც მოხდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ზუსტად ერთი წლის თავზე, 1922 წლის 25 თებერვალს თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა. ამით შეიქმნა საბჭოების ერთიანი სისტემა, პროლეტარიატის დიქტატურის ტიპიური სახელმწიფოებრივი ფორმა.

ეს ცვლილებანი საქართველოს საბჭოთა მშენებლობაში მიმდინარეობდა კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით. 1922 წლის იანვრის ბოლოს ჩატარდა საქართველოს კპ (ბ) პირველი ყრილობა, სადაც მოსმენილ იქნა საკითხი „საქართველოში საბჭოთა მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ“.

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ აირჩია საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო 2 მარტს დამტკიცა საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია.

50 წელი გავიდა საქართველოს სსრ რევკომის ჩამოყალიბების დღიდან. მან თავისი მისია პირნათლად შეასრულა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მიერ ძალაუფლების მოპოვებასა და მისი განმტკიცების საქმეში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

◆

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: საქართველოს რევოლუციური კომიტეტის პირველი შემადგენლობა. პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) შ. ელიავა, ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), მ. ორახელაშვილი (მოადგილე); მეორე რიგში ბ. კვირკველია, გ. ელისაბედაშვილი, ა. ნაზარეტიანი, ა. გეგეჭკორი.

პროფესორი
ᲒᲠ. ᲔᲠᲔᲛᲝᲕᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: საქართველოს რევოლუციური კომიტეტის პირველი შემადგენლობა. პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) შ. ელიავა, ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), მ. ორახელაშვილი (მოადგილე); მეორე რიგში ბ. კვირკველია, გ. ელისაბედაშვილი, ა. ნაზარეტიანი, ა. გეგეჭკორი.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ᲕᲠᲝᲔᲙᲢᲘ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ საზღვარგარეთის პრესის კვლავ ერთ-ერთი მთავარი თემაა.

განიხილავენ რა ახალი ხუთწლედის საკონტროლო ციფრებს მიმომხილველნი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დირექტივების პროექტი სახავს საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი ეკონომიური განვითარების, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების გრანდიოზულ პერსპექტივებს.

განმარტავს რა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს, უნგრული „ნეპსაბადშაგი“ წერს: „აღსანიშნავია, რომ დირექტივების თითოეული მიზნობრივი დებულება, პრობლემათა გადაჭრისადმი მიდგომის მეთოდები გამსჭვალულია თანამედროვეობის სულისკვეთებით. დასახული მიზნების მიღწევის ინტერესებისათვის გამოყენებულია მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევები“.

იაპონური „ტოკიო სიმბუნი“ აღნიშნავს, რომ ახალ საბჭოთა ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ხაზს უსვამს რა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას, პარიზის „ლუმანიტე“ წერს: „ეს დირექტივები საბჭოთა კავშირის ჰარმონიული განვითარების პროგრამაა, რომელსაც საფუძვლად უდევს სინამდვილის მეცნიერული ანალიზი“.

უცხოეთის პრესა მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ინდოჩინეთის ამბებს. ლაოსში ამერიკა-საიგონის აგრესიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიებსა და კომენტარებში ხაზგასმულია, რომ „ვიეტნამიზაციის“ ყბადაღებულმა პოლიტიკამ, რომელსაც ეშინგტონი ახორციელებს, კიდევ უფრო გააფართოვა დანაშაულებრივი ომი ინდოჩინეთში.

ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელოს“ მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა მოქმედებამ ლაოსის წინააღმდეგ მკვეთრად გაამწვავა ისედაც რთული ვითარება ინდოჩინეთში.

ინდოჩინეთიდან მიღებულ ცნობებში გაზეთები ყურადღებას აპყრობენ იმას, თუ რა მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ლაოსის პატრიოტული ძალები ამერიკელ-საიგონელ

საქართველოს ქუთა-ბაგში

ტროლეიბუსი რუსთავში

საიუბილეო მზადების დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს რუსთაველმა მშრომელებმა. გუშინ მწყობრში ჩადგა სატროლეიბუსო ხაზის პირველი რიგი. ათი ტროლეიბუსი დაიძრა მარშრუტით „კ. მარქსის სახელობის მოედანი — მეტალურგიული ქარხნის სამმართველო“.

პირველი სატროლეიბუსო ხაზის სიგრძე 15 კილომეტრია. 25 თებერვლისათვის დამატებით ამოქმედდება ახალი ხაზი, რომელიც დაკავშირებს ქალაქის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს.

მშენებელ-მემონტაჟეთა ხასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სამ თვეში შეძლეს სატროლეიბუსო ხაზის პირველი რიგის გაყვანა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქელექტრომონტაჟის სამმართველოს, საქმექანიზაციმონტაჟმშენის ტრესტის რუსთავის სამმართველოს, № 1 სამშენებლო ტრესტის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის, ქიმმრეწვმშენის და ტრანსსაეცმშენის სამმართველოების და სხვ. კოლექტივებმა.

რუსთავში პირველი სატროლეიბუსო ხაზის ამოქმედებას გუშინ მიეძღვნა ქალაქის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც გახსნა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რუსუდან ჯაფარიძემ.

რუსთაველ მშრომელებს პირველი სატროლეიბუსო ხაზის გაყვანა მიიღოცეს მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ო. სულაძემ, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილემ გ. ბერიძემ, ქიმიურ კომბინატის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ქაჯაიამ, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსმა მ. ჩიკვაიძემ, მეფოლადე ი. მარგალიტაძემ, რუსთავის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. ქავთარაძემ, თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა.

საზეიმო მიტინგის დამთავრების შემდეგ ლენტის გასაჭრელად მიდიან სოციალისტური შრომის გმირები, ცნობილი მეტალურგები ა. ფანცულაია და ა. ძამაშვილი.

ლენტის გაჭრის შემდეგ ტროლეიბუსში სხდებიან ქალაქის მშრომელები, მოწვეული სტუმრები და მიემართებიან ქალაქის მარჯვენა ნაპირის დასახლებისაკენ.

ახალი სატროლეიბუსო ხაზისადმი მიძღვნილ მშრომელთა მიტინგს ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ცხაკაია, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ე. ჯაფარიძე, საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ზ. ჩხეიძე და სხვ.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: პირველი ტროლეიბუსი ქალაქ რუსთავის ქუჩებში.
ფოტო ბ. სანაიასი.

სურათების გამოფენა ოფიცერთა სახლში

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიხსნა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრების მარგარიტა და მოუსა მერრეველების ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც ავტორებმა მიუძღვნეს საბჭოთა საქართველოსა და ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის 50 წლისთავს.

მხატვრებმა შემოხვევით როდი მოაწყეს ეს გამოფენა ოფიცერთა სახლში. ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებთან მათ აკავშირებთ დიდი შემოქმედებითი შეგობრობა — ისინი საშეფო მუშაობას ეწევიან ოლქის ჯარების ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში.

სამ დარბაზში გამოფენილია ასზე მეტი ნაწარმოები — პორტრეტები, პეიზაჟები, ისტორიულ თემებზე დაწერილი სურათები. უდავო ინტერესს იწვევს მ. მეტრეველის ფერწერული პორტრეტების სერია, ზეთის საღებავებით შესრულებული კომპოზიცია „მუშაობის შემდეგ“ და სხვ.

ბევრი კარგი პორტრეტი გამოფინა შ. მეტრეველმაც.

გამოფენამ დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. (საქდესი).

ტურისტული საგზურებით

ტყიბული. (საკ. კორ.). იტალიასა და ალჟირში სამოგზაუროდ გაემგზავრა ტურისტთა 15-კაციანი ჯგუფი. მეშახტეები იქ გაეცნობიან კულტურის ცენტრებსა და ისტორიულ ძეგლებს, დაათვალიერებენ საპარის უდაბნოს.

ამასწინათ ტყიბულელ მეშახტეთა წარმომადგენლებმა ამოგზაურეს ეგვიპტეში. ტურისტებმა დაათვალიერეს ასუანის გრანდიოზული ჰიდრონაგებობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით არის აგებული. ინახულეს ქალაქები კაირო და ალექსანდრია, დაათვალიერეს პირამიდები და სხვა ღირსშესანიშნაობანი.

მიმდინარე წელს მეშახტეებს ელით საინტერესო მოგზაურობა ბულგარეთსა და უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში.

ჟურნალების ახალი ნომრები

„საქართველოს აგიტატორი“ № 4

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეოთხე ნომერი.

„საქართველოს სასაჯლო მეურნეობა“ № 2

გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ყოველთვიური სამეცნიერო ეკონომიური ჟურნალ „საქართველოს სახალხო მეურნეობის“ მორიგი — მეორე ნომერი.

ბოლო

ბოლო „დინამოს“ მატჩის წინ

კიდევ 35 შეხვედრა, და ცნობილი გახდება ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები, აგრეთვე ის გუნდები, რომლებიც უმაღლეს ლიგას დატოვებენ.

უკანასკნელ შეხვედრებში ლიდერთა ჯგუფის ორმა წარმომადგენელმა ლენინგრადის „სპარტაკმა“ და ცსკა-მ თითო ქულა ჩაიწერეს აქტივში. სპარტაკელებმა რიგაში დაამარცხეს ადგილობრივი ვეფი-ი 90:66, ხოლო არმიელმა კალათბურთელებმა მოსკოვში სძლიეს ტარტუს „კალევს“ 75:68.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობა

მდგომარეობა 17 თებერვლისათვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ლ.)	15	14	1	1057- 896	14
ცსკა	15	12	3	1186-1037	12
„ფალგირისი“ (კაუნ.)	17	11	6	1373-1312	11
„დინამო“ (მ.)	17	10	7	1340-1260	10
„კალევი“ (ტ.)	18	9	9	1377-1340	9
„სტროიტელი“ (კ.)	16	9	7	1164-1107	9
„დინამო“ (თბ.)	15	9	6	1145-1169	9
„ბურევესტნიკი“ (თბ.)	16	7	9	1154-1208	7
სკა (კ.)	18	6	12	1221-1323	6
სკა (რ.)	17	4	13	1192-1293	4
ვეფ (რ.)	17	4	13	1237-1399	4
რტი (მ.)	17	4	13	1148-1250	4

სპორტული ამბები

● **ჩოგბურთი:** მოსკოვში გრძელდება ჩოგბურთელთა ზამთრის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი. თუ ასპარეზობის პირველ დღეს სიურპრიზების მოწმე არ ყოფილვართ და ყველაფერრა რიგზე ჩაიარა, მეორე დღეს ზოგიერთი მოულოდნელობის მოწმენი გავხდით. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი ნ. ყვალთა შორის ბაქელი ს. ლიხაჩოვი, რომელიც ჩოგბურთელთა საკავშირო კლასიფიკაციით ცნობილია მესამე ნომრად, ორსასათიან ბრძოლაში დამარცხდა 17 წლის ინგლისელ ჩოგბურთელ ს. ვარბოისთან შეხვედრაში.

15 თებერვლის ასპარეზობაში წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერებმა ო. მოროზოვამ და ა. მეტრეველმა. ო. მოროზოვამ მოუგო ბაქელ ე. გაშიანს, ხოლო ა. მეტრეველმა დაამარცხა მოსკოველი ა. ბოგომოლოვი.

● **ბაღრაკი:** მოხდა ისე, რომ შორშანდელ საკავშირო ჩემპიონატს ბელცაში ოქროს მედლის მფლობელი მოჭადრაკე ქალთა შორის არ გამოუვლენებია. საერთაშორისო ოსტატებმა ალა კუშნირმა (მოსკოვი) და მაია რანიკუმ (ტალინი) თანაბარი ქულებით პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს.

და აი ჩემპიონის გამოსავლინებლად მოსკოვში ეწყობა ამ ორი მოჭადრაკის მატჩი, რომელიც 6 პარტიისაგან შედგება. თუ მეტოქეებმა ამჯერადაც თანაბარი ქულები შეაგროვეს, შეხვედრა გაგრძელდება პირველ მოგებამდე.

გუშინ გაიმართა პირველი ტური. თეთრებით თამაშობდა მ. რანიკუ და გაიმარჯვა.

● **ჰოკეი:** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. 15 თებერვალს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში შედგა ფინალური მატჩი დედაქალაქის „სპარტაკისა“ და ლენინგრადის არმიის სასპორტო კლუბის გუნდებს შორის.

პირველ პერიოდში მეტოქეებს შაიბა არ გაუტანიათ. მეორე პერიოდში წარმატება სპარტაკელებს ხვდათ, რომლებმაც ოთხჯერ აიღეს მეტოქის კარი. გოლების ავტორები იყვნენ: ვ. სტარშინოვი, კ. კლიმოვი(2) და ვ. შადრინი. მესამე პერიოდში ორივე გუნდმა თითო შაიბა გაიტანა. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 5:1.

ამრიგად, მოსკოვის „სპარტაკმა“ შეინარჩუნა შარშან მოპოვებული თასი.

● **ველოსიპედი:** სსრ კავშირის ველოსიპედოსთა ნაკრები გუნდი სტუმრად იმყოფება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ბერლინის დახურულ ტრეკზე მიმდინარეობს. სპრინტერულ რბოლაში პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ჩემპიონმა ერთკილომეტრიან რბოლაში ა. პოლეტაევმა.

კალათბურთი

ორი „დინამოს“ მატჩის წინ

კიდევ 35 შეხვედრა, და ცნობილი გახდება ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები, აგრეთვე ის გუნდები, რომლებიც უმაღლეს ლიგას დატოვებენ.

უკანასკნელ შეხვედრებში ლიდერთა ჯგუფის ორმა წარმომადგენელმა ლენინგრადის „სპარტაკმა“ და ცსკა-მ თითო ქულა ჩაიწერეს აქტივში. სპარტაკელებმა რიგაში დაამარცხეს ადგილობრივი ვეფ-ი 90:66, ხოლო არმიელმა კალათბურთელებმა მოსკოვში სძლიეს ტარტუს „კალევს“ 75:68.

სპორტული ამბები

● **ჩოგბურთი:** მოსკოვში გრძელდება ჩოგბურთელთა ზამთრის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი. თუ ასპარეზობის პირველ დღეს სიურპრიზების მოწმე არ ყოფილვართ და ყველაფერრა რიგზე ჩაიარა, მეორე დღეს ზოგიერთი მოულოდნელობის მოწმენი გავხდით. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი ნ. ყვალთა შორის ბაქელი ს. ლიხაჩოვი, რომელიც ჩოგბურთელთა საკავშირო კლასიფიკაციით ცნობილია მესამე ნომრად, ორსასათიან ბრძოლაში დამარცხდა 17 წლის ინგლისელ ჩოგბურთელ ს. ვარბოისთან შეხვედრაში.

15 თებერვლის ასპარეზობაში წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერებმა ო. მოროზოვამ და ა. მეტრეველმა. ო. მოროზოვამ მოუგო ბაქელ ე. გაშიანს, ხოლო ა. მეტრეველმა დაამარცხა მოსკოველი ა. ბოგომოლოვი.

● **ბაღრაკი:** მოხდა ისე, რომ შორშანდელ საკავშირო ჩემპიონატს ბელცაში ოქროს მედლის მფლობელი მოჭადრაკე ქალთა შორის არ გამოუვლენებია. საერთაშორისო ოსტატებმა ალა კუშნირმა (მოსკოვი) და მაია რანიკუმ (ტალინი) თანაბარი ქულებით პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს.

და აი ჩემპიონის გამოსავლინებლად მოსკოვში ეწყობა ამ ორი მოჭადრაკის მატჩი, რომელიც 6 პარტიისაგან შედგება. თუ მეტოქეებმა ამჯერადაც თანაბარი ქულები შეაგროვეს, შეხვედრა გაგრძელდება პირველ მოგებამდე.

გუშინ გაიმართა პირველი ტური. თეთრებით თამაშობდა მ. რანიკუ და გაიმარჯვა.

● **ჰოკეი:** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. 15 თებერვალს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში შედგა ფინალური მატჩი დედაქალაქის „სპარტაკისა“ და ლენინგრადის არმიის სასპორტო კლუბის გუნდებს შორის.

პირველ პერიოდში მეტოქეებს შაიბა არ გაუტანიათ. მეორე პერიოდში წარმატება სპარტაკელებს ხვდათ, რომლებმაც ოთხჯერ აიღეს მეტოქის კარი. გოლების ავტორები იყვნენ: ვ. სტარშინოვი, კ. კლიმოვი(2) და ვ. შადრინი. მესამე პერიოდში ორივე გუნდმა თითო შაიბა გაიტანა. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 5:1.

ამრიგად, მოსკოვის „სპარტაკმა“ შეინარჩუნა შარშან მოპოვებული თასი.

● **ველოსიპედი:** სსრ კავშირის ველოსიპედოსთა ნაკრები გუნდი სტუმრად იმყოფება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ბერლინის დახურულ ტრეკზე მიმდინარეობს. სპრინტერულ რბოლაში პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ჩემპიონმა ერთკილომეტრიან რბოლაში ა. პოლეტაევმა.

ი. გაგუა

გარდაიცვალა ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ ქუთაისის სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს უფროსი, სკკპ წევრი 1941 წლიდან **იასონ სერგეიონის-ძე გაგუა.**

ი. გაგუა დაიბადა 1911 წელს მახარაძის რაიონის სოფელ შრომაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1928 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. შემდეგ სწავლა განაგრძო ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1932 წელს. ახალგაზრდა ინჟინერ-ელექტრიკოსი მუშაობდა აკადემიკოსის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, შემდეგ კი — ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში. 1938 წლიდან ი. გაგუა მუშაობდა „საქენერგოს“ სისტემაში მესამე საქსელი რაიონის ტექნიკური განყოფილების უფროსად. 1940 წელს დაინიშნა ქუთაისის ელექტროსეტების სამმართველოს მთავარ ინჟინრად, ხოლო 1943 წლიდან ამავე სამმართველოს უფროსი იყო.

1958 წელს ი. გაგუა გადაყვანილ იქნა ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარ ენერგეტიკოსად, მომდევნო წელს კი — ქუთაისის ხელსაწყოთა საპროექტო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც მუშაობდა უფროს ინჟინრად, განყოფილების უფროსად, მთავარ ინჟინრად.

1966 წლის მარტიდან გარდაცვალებამდე ი. გაგუა იყო ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ ქუთაისის სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

ი. გაგუას მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება, არაერთხელ იყო არჩეული ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად, მიღებული ჰქონდა მთავრობის მიელი რიგი ჯილდოები.

თავდადებული მუშაკის, სპეტაკი კომუნისტის ი. გაგუას ხსოვნა მუდამ დარჩება ადამიანთა გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

შეკითხვა: იმ პირებს, რომლებიც სეზონურ სამუშაოზე მუშაობენ, სამხედრო შეკრებაზე ყოფნის პერიოდში ეძლევათ თუ არა ხელფასი?

შ. ჯიხვაძე,
მაიაკოვსკი.

პასუხი: სამხედრო შეკრებაზე გაწვეულ მუშებს, მოსამსახურეებს და კოლმეურნეებს შეკრების პერიოდში ენახებათ თანამდებობა (სამუშაო) და მუშაობის ადგილის მიხედვით ეძლევათ საშუალო ხელფასის 75 პროცენტი. ეს წესი ვრცელდება იმ მუშაკებზეც, რომლებიც მუშაობენ სეზონურ და დროებით სამუშაოებზე.

შეკითხვა: იმ პირს, რომელიც უმართებულოდ იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და შემდგომ გამართლებული, რამდენი თვის განაცდენი ხელფასი მიეცემა?

ვ. ბარათაშვილი,
ქობულეთი.

პასუხი: იმ პირს, რომელიც 1971 წლის პირველ იანვრამდე უმართებულოდ იყო დათხოვნილი სამუშაოდან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით და შემდგომში გამართლებული, უფლება აქვს მოითხოვოს განაცდური დროის ხელფასი, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა, დამოუკიდებლად იმისა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იყო პროკურატურის ორგანოების თუ ადმინისტრაციის ინიციატივით.

შეკითხვა: მოქალაქეს, რომელსაც სასამართლოს განაჩენით მეესახა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ენახება თუ არა საცხოვრებელ ფართობზე უფლება?

თ. რატიშვილი,
თბილისი.

პასუხი: მოქალაქე, რომელსაც სასამართლოს განაჩენით მეესახა თავისუფლების აღკვეთა ექვს თვეზე მეტი ვადით, უფლებას კარგავს საცხოვრებელ ფართობზე განაჩენის სისრულეში მოყვანის დღიდან.

შეკითხვა: დაუქორწინებელ პირთა ბავშვებს შეუძლიათ თუ არა მამას მოსთხოვონ ალიმენტის გადახდა?

ზ. ბარამიძე,
ჩოხატაური.

პასუხი: იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლებს სამოქმედოდ შემოღებამდე (1968 წლის 1 ოქტომბრამდე) შეეძინათ დაუქორწინებელ პირებს, მამის ვინაობა შეიძლება დადგენილ იქნას ბავშვის დედისა და იმ პირის ერთობლივი განცხადებით, რომელიც თავს ბავშვის მამად სცნობს. ხოლო იმ ბავშვთა მიმართ,რომლებიც აღნიშნული საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ შეეძინათ დაუქორწინებელ პირებს, მამის ვინაობის დადგენა შეიძლება როგორც მშობელთა ერთობლივი განცხადებით, ისე სასამართლოს საშუალებით. ამ წესების დაცვით მამის ვინაობის დადგენისას ბავშვებს შეუძლიათ მამას მოსთხოვონ ალიმენტის გადახდა.

შეკითხვა: შვილს შეუძლია თუ არა ჰქონდეს დედისა და მამის გვარი (ორი გვარი)?

თ. ნოზაძე,
თბილისი.

პასუხი: შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი მშობლების შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მითითებით. შვილს არ შეიძლება მიეკუთვნოს ორივე მშობლის გვარი.

შეკითხვა: ორი შვილის სასარგებლოდ დაკისრებული მაქვს ხელფასის ერთი მესამედის გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შვილი იზრდება ჩემთან. სწორია თუ არა ასეთი მოქმედება?

რ. რევაზიშვილი,
ბორჯომი.

პასუხი: თუ განქორწინების ან სხვა მიზეზების გამო შვილებს აღსაზრდელად ინაწილებენ მშობლები, ალიმენტის ოდენობას, რომელიც ერთ მშობელს უნდა გადახდეს ნაკლებად უზრუნველყოფილი მეორე მშობლის სასარგებლოდ, სასამართლო განსაზღვრავს მტკიცე ფულადი თანხის სახით მშობელთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

შეკითხვა: პირი, რომელსაც 1960 წელს სასამართლოს განაჩენით, მისჯილი ჰქონდა 4 თვით გამასწორებელი სამუშაოები, დღისათვის ჩაითვლება თუ არა ნასამართლობის მქონედ?

კ. სადუნაშვილი,
გორი.

პასუხი: ნასამართლობის არმქონედ ჩაითვლება ის პირი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა გამასწორებელი სამუშაოები, თუ სასჯელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში იგი არ ჩადენილს ახალ დანაშაულს.

შეკითხვა: ოჯახის წევრს, რომელიც წასულია საცხოვრებელი ბინიდან სხვა რაიონში, რამდენი ხნის განმავლობაში ენახება უფლება ბინის ფართობზე?

ქ. სამსონიძე,
თბილისი.

პასუხი: საცხოვრებელი ბინის დამქირავებელს ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, რომელიც სხვაგან იმყოფება, საცხოვრებელი ბინით სარგებლობის უფლება ენახება ექვსი თვის განმავლობაში. (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 300-ე მუხლი).

დიდი თოვლი აჭარაში...

სტიქიასთან ბრძოლა გრძელდება

თებერვლის დამდეგს ზღვისპირეთში ისეთი სითბო იდგა, რომ ზოგიერთი ბანაობასაც არ ერიდებოდა. ძნელი დასაჯერებელი იყო ამინდის ბიუროს ცნობა, რომ 10 თებერვლის შემდეგ ამინდი მკვეთრად შეიცვლებოდა.

და აი ჭირვეულმა ბუნებამ თავისი გაიტანა. 10 თებერვალს დილიდანვე მსუსხავმა ქარმა დაბერა. ზღვის მძლავრი გუგუნი მთელ ქალაქში ისმოდა. ბათუმელები ნაპირზე გამოფენილ გახელებული სტიქიის საყურებლად. მთებისოდენა ტალღები ყალყზე დგებოდნენ და ნაპირს აწყდებოდნენ, ქარიშხალი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, თოლიებმა ზღვა მიატოვეს და ხმელეთს მოაშურეს...

დღის თორმეტ საათზე ძლიერი სეტყვა წამოვიდა, ცა ჩამობნელდა. სეტყვას თოვა მოჰყვა, ისე გულდაგულ დაიწყო ბარდნა, რომ ამის მსგავსი ბათუმელებს დიდი ხანია არ უნახავთ. თოვა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. ავტოტრანსპორტს უფრთხილესი უძნელდებოდა მოძრაობა. საღამოხანს ქალაქი 15-20 სანტიმეტრიანმა თოვლის საფარველმა დაფარა.

მთელ ღამეს განუწყვეტლივ თოვდა, ასე, რომ 11 თებერვალს ქალაქში თოვლის საფარი უკვე 60 სანტიმეტრს აღწევდა.

სამუშაო დღის დაწყებასთან ერთად ქუჩებში ახმაურდნენ ტრაქტორები, გზის მწმენდავი მანქანები, განუწყვეტლივ თოვაში დაიწყო ელექტრობაზების და ტელეფონის ხაზების აღდგენა... 10 თებერვლიდან სატელეფონო კავშირი სწირად წყდებოდა რაიონულ ცენტრებთან და სოფლებთან. ამინდი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ საქმეში ვერტმფრინავები ჩარეულიყვნენ, ქარბუქი და თოვა ხილვადობას აძნელებდა. რადიოდეპეშებსა და დროდადრო აღდგენილ სატელეფონო კავშირს კი კარგი ცნობები როდი მოაქონდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ხულოსა და შუახევის რაიონების ზოგიერთი სოფელი...

ხულოს რაიონის სოფელი ღურტა მთის ფერდობზეა გაშენებული, აქ თოვლის საფარმა 3 მეტრს მიაღწია. ტყეში წიწვიანი ხეების მტვრევის ხმაური მოსახლეობას ცუდად ენიშნა. თოვლით დაზვინული ფერდობები მათ კარგს არაფერს უქადდა, მაგრამ შეუძლებელი გახდა იქაურობას გასცლოდნენ. გზა ალყარ იყო, თოვლს ყველაფერი გადაეფარებინა. მეზობლებს შორისაც დაირღვა კავშირი, ზოგიერთნი ხმას ძლივს აწვდიდნენ ერთმანეთს... თოვლის ზვავი საშინელი ძალით მოირღვა. ეს იყო ერთ-ერთი სოფელი, რომელმაც ყველაზე მძიმე დანაკლისი განიცადა. რამდენიმე ადამიანი დაიღუპა ხულოს რაიონის სოფელ აგარაში. მატერიალურად დაზარალდნენ რიყეთლები, მაგრამ მსხვერპლი არ ყოფილა.

ზვავები ჩამოწვა შუახევის რაიონის სოფლებში წაბლანასა და ქეძინიძეებში. სოფელ ოლადაურში ზვავმა მოიტაცა სკოლა-ინტერნატისა და ამბულატორიის შენობები. საბედნიეროდ, იმ დროს ინტერნატში არც ერთი ბავშვი არ ყოფილა.

საგანგაშო მდგომარეობამ ფეხზე დააყენა ყველა. სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ შეიქმნა მთავრობის კომისია. ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების მთელი მოსახლეობის დაირაზმა სტიქიასთან სამრძოველად. გამოიყენეს ტექნიკა, თბილისიდან ჩამოსული ალპინისტები უმალვე წავიდნენ შემოსვლების ადგილებზე. მიმდინარეობს ჩახერგილი და წალეკილი გზების აღდგენა. დაზარალებულ მოსახლეობას სამედიცინო დახმარებას უწევენ, სურსათს აწვდიან.

— 1925 წლის შემდეგ არ გვახსოვს ასეთი დიდი თოვლი. მაშინაც ფებერვრიდან და მეორე სართულიდან გვიხდებოდა გამოსვლა. მაგრამ თოვლის ასეთი ზვავების მომსწრენი არა ვართ, — ამბობენ ხანდაზმულები.

14 თებერვლიდან მზემ გამოიხედა. გაავებულმა სტიქიამ, როგორც იტყვიან, გული იჯერა, მაგრამ საფრთხე ჯერ არ დამთავრებულა, დიდ თოვლს დიდი ლანქერი მოსდევს. ლანქერი განსაკუთრებით მთებშია საშიში.

ამჟამად პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სახიფათო ადგილებიდან გახიზნონ მოსახლეობა, მოსალოდნელი უბედურებისაგან იხსნან ხალხი.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — თოლიებმა ნანაპიროს მოაშურეს; შუაში და მარჯვნივ — ბათუმის ქუჩებში.
ფოტო ვლ. ბაბაიანისა.

ავტოშემთხვევა

საჭეს ვინ მართავდა?!

გუშინ ადრე დილით თბილისში, რუსთაველის მოედანთან, კავშირგაბმულობის მე-8 განყოფილების გვერდით საოცარი სურათი იყო: დალეწილი ელექტრობოძი და ჭადრები, კიბეზე ავარდნილი და ბორბლებაშვერილი „მოსკვიჩი“...

დაახლოებით ღამის ორ საათზე ლენინის ქუჩიდან ახზე მეტი კილომეტრის სისწრაფით აიჭრა მანქანა ტროტუარზე, მილეწ-მოლეწა იქაურობა, ავარდა კიბეზე, შეეჯახა შენობის კედელს და გადაბრუნდა. მანქანიდან ძლივსძლივობით გამოძვრა ორი ადამიანი, გადახედეს თავიანთ ნამოქმედარს, ელდა ეცათ და გაიპარნენ.

დილის 4 საათზე ორჯონიკიძის რაიონის მილიციის პირველ ქვეგანყოფილებაში ტელეფონმა დარეკა:

— არიქა, გვიშველეთ, ავტომანქანა „მოსკვიჩი“ მოგვპარეს, ლვოვის ქუჩაზე ოც ნომერ სახლის წინ გვიყენია!

ნახევარი საათის შემდეგ იმავე ქვეგანყოფილებაში ნასვამი მოქალაქე, მცხეთის საკონსერვო ქარხნის საამქროს უფროსი ვახტანგ ერმილეს-ძე თუთაშვილი მივიდა და განცხადება მიიტანა, ლვოვის ქუჩიდან „მოსკვიჩი“ მომტაცესო. კიდევ ნახევარი საათი, და იმავე მოქალაქემ ქალაქის მილიციის სამმართველოს მორიგეს საავარიო დარგში იმავე შინაარსის გაცხადება წარუდგინა.

როგორც ხედავთ, რთული და ბუნდოვანი ამბავია...

ერთი რამ კი ამთავითვე ცხადია: მანქანა „მოსკვიჩი“ გრო — 48-54 ეკუთვნის მოქალაქე გოშა ივანეს-ძე გაგუას. მანქანა მხოლოდ სიტყვიერი გარიგებით იყო ვ. თუთაშვილის მფლობელობაში.

ხალხს ნამდვილად სწორი უთქვამს: ქურდმა ერთი ცოდვა ჰქნა და — ავმა შემნახველმა ათასი.

ვფიქრობთ, ქალაქის მილიციის მუშაკები დროულად აღმოაჩენენ ავტოხულიგნებს — ნამდვილ დამნაშავეებს. წარმოიდგინეთ რა უბედურება დატრიალდებოდა, რომ ავარიის დროს პროსპექტზე ხალხი ყოფილიყო.

ტელევიზია

17 თებერვალი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 12.00 — მხატვრული ფილმი „შენი თანამდროვე“ (მეორე სერია), 17.00 — „სკოლების დასახმარებლად“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის „ცეროდენას ეკრანი“, 18.40 — „მეცნიერული კომუნიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად, 19.05 — საბჭოთა რესპუბლიკების სატელევიზიო ფესტივალი, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი. ტაჯიკეთის სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — ახალგაზრდობისათვის ციკლიდან „ყრილობის დელეგატები“, 21.00 — „მომმე“. საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — კონცერტი — ძველი თბილისის პანგები — მეფუდუკეთა ანსამბლი, 22.00 — სატელევიზიო დადგმა „10 დღე, რომელმაც შეარყია მსოფლიო“.

18 თებერვალი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „შენთვის, ახალგაზრდობავ!“ (გადმოცემა ვოლგოგრადიდან), 11.45 — კინოპროგრამა, 12.20 — სატელევიზიო დადგმა „ქარვის სამკაული“, პირველი ნაწილი (ცენტრალური ტელევიზიის ნაწარმოები), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის „ცეროდენას ეკრანი“, 18.45 — გადაცემა „ადამიანი და სამყარო“, 19.15 — კინონარკვევი, 19.40 — გადაცემა „უპატაკებენ ყრილობას“, 19.55 — „მომმე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — „დრო, დრო აღნიშნეთ!“ (პოეზიის საღამო), 20.50 — მხატვრული ფილმი „თავმჯდომარე“ (I სერია), 22.25 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „